კლდე

№ 25

22 თიბათვე 1914 წ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-
მიური და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მესამე

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

3 მან.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. ქართველი ალარმისტები. 2. მეცნიერების ტაძარის კართან.—რ. გ—ესი. 3. ანტი-ნაციონალური აზრი.—ბ. ჭიჭინაძისა. 4. გამოცანა.—ნაცარასი. 5. იტალიანური ხუმრობა.—თარგმანი შარიანისა. 6. „ფინანსიური მოსაზრებანი".—Z—სა. 7. თანამედროვე ჯამბაზობა.—*,* სა. 8. ეროვნული უძლურება და მისი სამი სახე.—შალვა ჯ—ძესი. 9. ფრანც-ფერდინანდის მკვლელობა.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ
და სალიტერატურო ჟურნალ „კლდე"-ზე.

ფ ა ს ი:

1 წლით.	3 მან.
6 თვით.	2 მან.
3 თვით.	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

ქართველი ალარმისტები

წერა-კითხვის საზოგადოების გარშემო ატეხილმა კამათმა ჩვენს პრესაში სავსებით გამოამჟღავნარა უკიდურესი ალარმიზმია გამეფებული ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც ითვლება ყველა ჩვენ ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებათა მოთავედ. საკმაო იყო საზოგადო კრების დღე მოახლოვებულიყო, და „სახალხო ფურცელმა“ განაცხადა,—საჭირო არ არის ამ კრებას ხალხი დაესწროსო. „იმერეთმა“ ჯერ აშკარად განაცხადა რამდენიმე წერილში დემოკრატიზაციის სურვილი, მაგრამ იმავე დროს ბ. ისრის პირით სულ წინააღმდეგი აზრი გამოსთქვა და, ალბად, გაზეთის ოფიციარული აზრიც ეს არის. დარჩა ერთად-ერთი გაზეთი „აზრი“, რომელიც კვლავ დემოკრატიზაციის საჭიროებას ქადაგობს და ჩვენც უნდა გამოვტყდეთ, რომ, ამ ხანად, სიმართლე ამ უკანასკნელის მხარეს არის.

ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება ვიფიქროთ, რომ დასელები რამე ანგარებით და პოლიტიკანობით ხელმძღვანელობენ, როცა წერა-კითხვის საზოგადოების დემოკრატიზაციას ქადაგობენ. გვწამს რომ, როგორც მესვეურნი ქართულის დემოკრატიისა, ქართულ კულტურის ინტერესებს ისინიც მაღლა აყენებენ და დაიცავენ კიდეც. თუ ეს ასეა, მაშინ აღარავითარი უფლება არა გვაქვს ვეწინააღმდეგოთ ისეთ მოთხოვნილებას, რომელიც დროს შეეფერება და რომელიც უმთავრესად საზოგადოების დემოკრატიზაციაში გამოიხატება. არსებობს მთელი რიგი მოსაზრებათა, რომელიც წინდ-წინვე გვიკარნახებს, რომ ასეთი ზომა „საზოგადოების“ საქმეს წინ წასწევს და შეასრულებინებს იმ დიად საქმეს, რომელსაც მხოლოდ ოდნავ ასრულებდა 35 წლის განმავლობაში. მთავარი ნაკლი „საზოგადოებისა“ ის არის, რომ 35 წლის განმავლობაში ერთხელაც ვერ გადიქცა სახალხო დაწესებულებად. მას დიდი სიმპატია აქვს მოპოებული განათლებულ და ინტელიგენტურ წრეებში, მაგრამ იგი მოკლებულია ყურადღებას დაბალის წრეებისას. საწევრო გადასახადის შემცირება კი უმთავრესად ამ ნაკლს გამოასწორებს, მაგრამ საკმაოა ამის თქმა, რომ ჩვენი ქებული „დემოკრატია“ ყალყზედ შესდგეს და მთელი თავისი ალარმიზმი ცხად ჰყოს; მაგრამ ამ ალარმიზმის და მძულვარების გაზიარება ჩვენ არას გზით არ შეგვიძლიან. ამ საკითხში ჩვენ გვაინტერესებს უმთავრესად ქართველი ხალხის ინტერესი და ამ ხალხის ინტერესებისათვის არავითარ კომბინაციას არ უნდა დავერიდნეთ. თუ ავგუსტ ბებელს შეეძლო იმის თქმა, რომ პროლეტარიატის ინტერესებისთვის ეშმაკსაც კი დაუმეგობრდებიო, ქართველი ხალხის ინტერესებისთვის ჩვენ თვით დასელებთან წავალთ ერთად და არ შეუშინდებით იმასაც, თუ ჩვენი „სოციალისტები“ იმის მტკიცებას დაგვიწყებენ, რომ ეშმაკი სჯობიან ქართველ დასელს. ჩვენის ღრმა რწმენით, ყველა ნეიტრალური ეროვნულ-კულტურული დაწესებულება მოვალეა კარი გაუღოს ხალხის უმრავლესობას და რადგან ამ ჟამად საზოგადოებრივი აზრი სხვა და სხვა მიმართულებათა ხელშია, ყველა მიმართულებას უნდა ჰქონდეს თავისი ხმა **საერთო**, ნეიტრალურ ნიადაგზედ.

მეცნიერების ტაძარის კართან

ყოველთვის, როცა ადამიანი შედის ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში, რაღაც არაჩვეულებრივ კმაყოფილებასა და სიმშვიდესა გრძნობს. ის დაჩუქურთმებული ხე, ჩამოსხმულ-გამშვენიერებული ლითონი, ნაკვეთი ქვა, თუ აბრეშუმის, შალის ქსოვილები, რომელნიც უხვად შეკრებილან ამ ორ-სამ წელიწადში,—იმედს აღვიძებენ ადამიანის გულში, რომ „აწმყო, ნაშობი წარსულისაგან—მყობადის დამბადველია“. თითქმის ერთად-ერთი დაწესებულებაა, საცა შეკრებილა მრავლად, ჩვენი წარსული **ნივთიერი და სულიერი** კულტურის ნაშთები; დალაგებულა სიყვარულით, მეცნიერულის თანდათანობით, ევროპიულად სუფთა და ლამაზ კარადებში. თითქმის მარტო აქა გრძნობთ, რომ ნამდვილ კულტურულ დაწესებულებაში ხართ, საცა გამეფებულია პატიოსანი, მოსიყვარულე შრომა, საცა არ ისმის ინტრიგის, პარტიობის, ან სხვა ქვენა გრძნობებით სავსე ჟრიამული. მართლაც ეს მუზეუმი—ტაძარია, შექმნილი სულ რამდენიმე მოსიყვარულე ქურუმისაგან, რომელნიც თავგამომეტებით სწირავენ მას თავის დროს, ენერგიას და სიყვარულს. აქ თვალნათლივა სჩანს თუ რა შეუძლიან შეჰქმნას შეთანხმებულს ენერგიას, თუნდ სულ მცირედი ხალხისას.

ყოველთვის კმაყოფილებას განიცდის კაცი ამ

სურათების, ხელოვნურ ნაწარმოების და ძველ ნაშთთა და წიგნების შორის, მაგრამ წარსული კვირის საერთო კრებამ ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისამ, საცა ბევრი საგულისხმიერო რამ მოვისმინეთ და დავინახეთ; საცა მოკლედ, შინაარსიანად გაგვაცნო პატივცემულმა ე. თაყაიშვილმა, მოგზაურობის სახით — ის ნივთიერი და სულიერი კულტურის განძეულობა, რომელიც აქამდის დარჩენილ-გაფანტულია ჩვენს ეკლესიებსა და მონასტრებში, — უნდა გულახდითა ვსთქვათ, რომ ერთ საუკეთესო დღეს შევესწარით.

ჩვენი ჟურნალის 23-ე ნომერში უკვე გვქონდა დაბეჭდილი ქ. ს.-საეთნოგრაფიო საზოგადოების ანგარიში, რომელიც სხვათაშორის, დამტკიცდა ხსენებულ კრებაზედ. დამტკიცდა სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაც, რომელიც გამოიხატა მეტად მცირე ციფრში: სულ 10,487 მან. ამაზედ ქვეითაც მოგახსენებთ და ჯერ დაუბრუნდეთ კრებას. საუბედუროდ, კრება არ იყო მრავალ-რიცხოვანი, მაგრამ სამაგიეროდ დარბაისლური და საქმიანი, საცა არ ისმოდა ტრაფარეტული ლაყბობა ჩვენი სხვა კრებებისა. ანგარიშის შემდეგ, კრებას მოხსენდა განზრახვა გამგეობისა — გამოსცეს ალბომი იმ ნახატებისა, ნიმუშებისა, რომელნიც გადმოღებულია ჩვენი ეკლესიების კედლებიდან. ერთი ფურცელი მომავალი ალბომისა, ლამაზად გამოცემული და მისი გადმოხატული დედანი დაურიგდა კრებას სანახავად. ი. ავალიშვილმა მიაქცია კრების ყურადღება იმაზედ, რომ დაბეჭდილი ცალი ცოტა განსხვავდება ფერებით და მოხაზულობით, ნახატისაგან. კრებამ გამოსთქვა სურვილი და ღეჭველია, გამგეობაც მიაქცევს ყურადღებას, რომ ნახატები რაც შეიძლება მეტად დაუახლოვოს არა მარტო გადმოღებულს სურათს, არამედ თვით დედნებსაც. კრებამ რ. გაბაშვილის წინადადებით, დაადასტურა ისიც, რომ ასეთი ალბომი უნდა გამოიცეს მაშინაც, თუ საზოგადოებას ზედმეტი ხარჯიც მოუვა, რადგან შეუძლებელია ლაპარაკი „ზარალზედ“, როცა საკითხი ეხება ისეთ საქმეს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება თვით ქართველებისათვისაც და უცხო ერთა წარმოდგენისათვისაც ქართველებზედ.

კრებამ მოისმინა აგრედვე მოხსენება ე. თაყაიშვილისა გურია-სამეგრელო-იმერეთში მოგზაურობაზედ. ჩვენ თვალწინ გაიარა აუარებელმა ფრესკამ, მინანქრიანმა და ოქროთ ნაქედმა ხატმა და ჯვარმა, საუცხოოდ დაწერილმა წიგნებმა, დაკარგულმა და კიდევ დარჩენილმა საუნჯემ ჩვენი ისტორიისა. ჩვენ მოვისმინეთ საუკეთესო აღწერილობა ტყვირის, მარტვილის, წალენჯიხის, ზუგდიდის, ხოპის და სხ. ეკლესიებისა, საცა გადარჩენილა ბარბაროსულ გაცარცვას მინანქრიანი საუცხოვო ნაწარმოებნი, რომელნიც არ ჩამოუვარდებიან და ზოგში კიდეც სჯობიან ბიზანტიურ ნაწარმოებს (ჯვრები, სანაწილე, პანაგია და სხ. — მარტვილში); გადარჩენილა კერპთ-თაყვანის მცემლობის დროის დაჩუქურთმებული ქვებიც, რომელნიც ჩატანებულია, ე. თაყაიშვილის აზრით, ქრისტიანულ ეკლესიების კედლებში. გადარჩენილა და დაღუპვის გზას კი ადგია მრავალი ფრესკა, რომლებსაც შეგნებულად და შეუგნებლად ახდენს დრო, წყალი და ადამიანიც.

გაკვრით გავეცანით ეხლანდელ დადიანთა გვარის წარმოებას ჩიქოვანთაგან; აგრედვე იმას, თუ როგორ შლიდა ერთი მოდგმა დადიანთა ან მეფეებისა, წინა მოდგმის სურათებს, რომ თავისები დაეხატა; ან როგორ იცვლებოდა საუკუნეთა განმავლობაში ხუროთ-მოძღვრების საფეხურები, რის მიხედვით ეხლაც ემჩნევა ეკლესიებს სხვა და სხვა დროის მიშენებული, ან გადაშენებული ნაწილები.

ყოველი სიტყვა ბ-ნ თაყაიშვილისა, კრებამ შემდეგ თითქმის თავისი თვალით ნახა განხორციელებული, რადგან ბ-ნ კუნეს დახმარებით, თაყაიშვილს შეუკრებია და კრების დღეს გამოფენილი იყო თითქმის ყველა სურათი იმ ნაშთებისა, რომელზედაც გველაპარაკებოდნენ. სურათები მართლაც საუცხოოა და ევროპიელ საუკეთესო მუზეუმების დამშვენებასაც შესძლებდნენ, არამც თუ ჩვენი პატარა და ახლად აღორძინებულისას.

კრებამ დაათვალიერა მუზეუმიც, რომელსაც დღითი-დღე ემატება ნივთები, საგანძური, სურათები და ისეთი საოცარის სისწრაფით, რომ ზალაში არ დატეული, ტალანებში აწყვია და ჰკიდია და ახლო მომავალში კიდევ და კიდევ დისჭირდება ადგილი, რის გამოისობით აუცილებლად უნდა დაჩქარდეს ქართული მუზეუმის შენობაც.

მაგრამ ყველა ზემო აღნიშნულიდან უეჭველად პრაქტიკული მოსაზრებანიც უნდა გამოვიყვანოთ, რომ საუცხოოდ ჩაყრილ საძირკველზედ უფრო უმჯობესი შენობა ამოვიყვანოთ მომავალისათვის. რასაკვირველია, როგორც ყველაფერში და მუზეუმის საქმეში ნამეტნავად — საჭიროა ფული და აგრედვე, როგორც ყველა სხვა საქმეში — **„უნდა ეთხოვოს თავად-აზნაურობას“**, რაც უკვე შაბლონურ ფრაზად გადაიქცა. მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს „თხოვნა“ შესაძლებელია, უფრო დასაბუთებული

იყოს და თვით სახსარიც შეიძლება იყოს ნაჩვენები.

ჯერ ერთი რომ მუზეუმი ისეთი განძია, რომელზედაც დახარჯული ფული უქმად არ იკარგება, არამედ ერთი ათად და ბევრჯელ ერთი ასად უბრუნდება ქართველ საზოგადოებას იმ ისტორიულ და ძვირფასად ღირებული ნაშთების სახით, რომელთაც გარდუვალი და მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის, როგორც ჩვენი ეროვნული კულტურის გაცნობისათვის წარსულში, ისევე მის აღორძინებისათვის მომავალში. მაზედ დახარჯული ფული, საქველმოქმედოთ გაბნეული თანხა კი არ არის, რომელიც ბევრჯელ ტყეილ-უბრალოდ იკარგება—არამედ ფასდაუდებელი ხდება სიძველეთა შეკრებით. თავად-აზნაურობას ყოველთვისა აქვს შეძლება შეამოკლოს საქველ-მოქმედო თანხები, რომ ამ დიდ საქმეს შეუწყოს ხელი. ავიღოთ თუნდ ისეთები, როგორიც სასტიპენდიო თანხა, რომელიც ყოველ წლივ მცირდება, და შეიძლება მისი დანაკლისი მთლად საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მიეცეს ხოლმე. შეიძლება კიდევ სხვაც გამოინახოს, მაგრამ ჩვენ გვინდა ჯერჯეროობით ერთ თვალსაჩინო გარემოებას მივაქციოთ ყურადღება, რაც განსაკუთრებით შეუწყობს ხელს სამუზეუმო საქმეს. ამ ორიოდე წლის წინად, ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ აღძრა საკითხი წერა-კითხვის გ. საზოგადოებაში, რომ საჭიროა ამ ორი დაწესებულების მუზეუმთა შეერთება. დღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ბევრი მოსაზრებით ეს საკითხი სწორედ ისე უნდა გადაიჭრას, როგორც ითხოვდა ქ.-ს.-საეთნ. საზოგადოება. ე. ი. გადაეცეს წ.-კ. ს. მუზეუმი სპეციალურად ამისათვის დაარსებულ საზოგადოებას. ამ აზრიან ნაბიჯს შეიძლება მეტად თვალსაჩინო შედეგები მოჰყვეს: ჯერ ერთი ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოება განთავისუფლდება იმ ზედმეტ ბალასტისაგან, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ თავს მოახვია იმ დროს, როცა სხვა საზოგადოება არა იყო რა; რომელიც არამც თუ მისი (წ.-კ. ს.) მიზნისათვის არაა საჭირო, არამედ ვიდევაც აფერხებს მის მსვლელობას. მეორეს მხრით, თვით წ.-კ. გ. ს. მუზეუმი მოიგებს იმ მხრივ, რომ განსაკუთრებული, სპეციალურად ამისათვის მიჩენილი ზედამხედველი ეყოლება, ისეთი მოსიყვარულე საზოგადოების სახით, როგორიც არის ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ამის საილუსტრაციოდ თუნდა ის კმარა, რომ 36 წლის განმავლობაში შეგროვილი მუზეუმი წ.-კ. გ. საზოგადოებისა, თითქმის უმწეო სანახაობას წარმოადგენს შედარებით იმ საისტორიო—საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმთან, რომელიც სულ სამი-ოთხი წლის განმავლობაში დიდებულ კულტურულ დაწესებულებად გარდაიქცა. ამ შეერთებით თავის-თავადაც უფრო გაიზრდება ეხლა განყოფილი საკულტურო ცენტრი და განთავისუფლდება ის სამუზეუმო ხარჯიც, რომელიც ეძლევა წ.-კ. გ. საზოგადოებას თავად-აზნაურობისაგან. შეიძლება ეს თანხაც მოხმარდეს ისეთ დიდ საქმეს, როგორც ნაშთთა შეგროვებაა. ყველა ამ მოსაზრებათა გარდა, ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს საკუთარი მუზეუმის აზრის მომწიფებას, ვინაიდან უკვე საკმაოდ არის მოგროვილი ნივთიერი ღირებულება, რომ მის დაცვაზედ ვიზრუნოთ განსაკუთრებით. ის სიყვარული და დაუღალავი შრომა, რომელსაც იჩენდნენ და იჩენენ აქამდის ქ. ს.-საეთნოგ. საზოგადოების გამგენი დაწყებულ საქმისადმი, სრულს გარანტიას იძლევა, რომ მომავალი ამ საზოგადოებისა და მისი დიადი დანიშნულებისა — ეზრნველყოფილია და ქართველ საზოგადოებასაც მართებს პატივისცემით და ერთგულად დაეხმაროს მას ყოველმხრივ.

ჩვენის აზრით, დროა ქართველმა საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ნაშთთა შეგროვებას, რადგან უკანასკნელნი წლობით კი არა, ყოველღიურად იკარგებიან და ირეცხებიან ჩვენი სამშობლოს პირიდან; დროა, იმ აუარებელი დარჩენილი ნაჭერ-ნაგლეჯებიდან მაინც შევქმნათ დიადი ტაძარი მეცნიერებისათვის; დროა, სამშობლოს გაფანტულ კუთხეებიდან გამოვწუროთ და ერთ ადგილს მოვაგროვოთ ჩვენი კულტურული საუნჯენი, და საცა შეიძლება ადგილობრივ გამაგრებასაც შეუწყოთ ხელი—ამისათვის კი საკმარისი არ არის თავად-აზნაურობის ან საისტორიო საზოგადოების თანხები; ამისათვის საჭიროა მთელი ქართველი საზოგადოების თანაგრძნობა და მსხვერპლიც, რომ შეაგროვონ, შეინახონ და მიაწოდონ ჩვენს ნორჩ დაწესებულებას არა მარტო კანტი-კუნტი ცნობები, არამედ ნივთები, ხელნაწერები, წიგნები, რაც კი ვის ეგულება შინ და გარედ; ამისათვის საჭიროა თავ-გამოდება, რომ საქართველოს შეენახოს არა მარტო მისი სულიერი კულტურის ისეთი ნაშთები, როგორც უკვდავ შოთას „ვეფხის ტყაოსანი“, არამედ ისეთი სულიერ-ნივთიერი საუნჯეც, როგორც იქნება სრულიად საქართველოს საისტორიო, საეთნოგრაფიო და საარქეოლოგიო მუზეუმი.

ქ. ს.-საეთნ. საზოგადოებასთან ერთად, ჩვენც მივმართავთ ქართველ საზოგადოებათა ყველა წარმომადგენლებს—მივიდნენ ნახონ, თვითონ დარწმუნდნენ დაწყებულ საქმის სიდიადეში, რომ უფრო აღფრთოვანებით შეეგებნენ ამ დიდ საქმეს და ხელი შეუწყონ მის კეთილს განხორციელებას. ეს საქმეც უნდა მით უფრო დაჩქარდეს, რომ დღეს საისტორიო საზოგადოებას სათავეში უდგას მისი იდეალური მიზნით გატაცებული ხალხი, რასაც ყოველი საქმისათვის, ნამეტნავად მისი შენების დროს, **უაღრესი** მნიშვნელობა აქვს. ასეთი იყო ძვირფასი ალ. სარაჯიშვილიც, რომელიც ულმობელმა სიკვდილმა გამოჰგლიჯა მჭიდრო კოლეგიიდან და დაიობლა უკანასკნელი. მაგრამ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მით არის ბედნიერი, რომ ასეთივე მუყაითი და მოსიყვარულე მუშაკი კიდევ შერჩა რამდენიმე, რომელნიც დიდ ეროვნულ საქმეს არ უღალატებენ და კეთილ-სინდისიერად ააშენებენ იმ ტაძარს, რომელსაც ასეთის სიყვარულით ჩაუყარეს ღირსეული საძირველი.

რ. გ

ანტინაციონალური აზრი

როდესაც რომელიმე ხალხი ძირითად ცვლილებას განიცდის თავის მოწყობილობისა და ფსიხოლოგიისას, მის ცხოვრებაში შეიმჩნევა ხშირად ისეთი მოვლენანი, რომელნიც პირველ შეხედვით არასასურველად და მავნედაც ეჩვენებიან კაცს, მაგრამ ცხოვრების პრაქტიკა და ნამდვილი გამორკვევა საკითხისა, ბევრს ამგვარ მოვლენას სულ სხვა სახეს აძლევს და სულ სხვა მხრით გვიჩვენებს იმას, რაც არასასურველი გვეგონა და მავნე.

სწორედ ამგვარ მოვლენას წარმოადგენს ჩვენი უმაღლეს სწავლა მიღებული ახალგაზრდობა. თითქმის ყოველი ქართველი ყმაწვილი, უმაღლეს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, აღზრდილი უცხო, არამშობლიურ ნიადაგზედ, უცხო ენის დახმარებით და უცხო საზოგადოებაში, გრძნობს თითქო დაშორებოდეს თავის ხალხს და მის ჭირ-ვარამს. ეს აწუხებს რასაკვირველია მას და კიდევაც აშინებს. ვაი თუ, ფიქრობს ის, ეს სწავლა და ჯაფა სულ უნაყოფო დარჩა და არაფერი გამოსადეგი იქნა საქართველოსათვისო?—მე თუ დავშორებივარ მას, რაღა სარგებლობა უნდა მოუტანოს მას ჩემმა მუშაობამ?

აი, ამ დროს, როდესაც ყმაწვილი ამ წერტილს მიაწევს, უნდა გამოდგეს ქართული პრესა და გარკვევით აუხსნას მას, რომ სცდება ის, ასე თუ ფიქრობს. **ქართველად დაბადებული** და **საქართველოსათვის ევროპიულად აღზრდილი**, ის ნამდვილად უცხო კი არა, სხვებზე მეტად დაახლოებულია საქართველოს საქმეებზე. პრესამ უნდა დაუმტკიცოს მას, რომ მისი „უცხოობა“ დროებითი მოვლენაა და გაქრება, როგორც კი გაერევა იგი სამშობლოს საქმეებში. ერთი სიტყვით, პრესამ უნდა გაუხილოს თვალი ამ საკითხზე იმათაც, ვინც, როგორც სამწუხაროდ ხშირად სწერენ ხოლმე ჩვენ გაზეთებში, „გადაგვარების გზას ადგიან“.—ვამბობ „სამწუხაროდ“, რადგანაც ამისთანა პირნი რეალურად არ არსებობენ ქართულ ნასწავლ ახალგაზრდობაში.

საქართველო, ძალად ჩამოყენებული გარშემორტყმული მტერისაგან თავის ისტორიულ ლიანდაგიდან, იმგვარ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ თავის საკუთარი კულტურული წინსვლა შეუჩერდა. სამშობლოს მოყვარე ადამიანს გული უკვდებოდა მის მზერით და ბევრს უთუოდ იმედიც-კი ეკარგებოდა მის ხელახლად გაღვიძებისა.

მაგრამ სული ქართველ ხალხისა მხოლოდ მოკლე ხნით (ისტორიულად რომ გავსინჯოთ!) მიდუნებულიყო თურმე... მართალია, არა საკუთარ კულტურის გზას, არამედ რუსეთით ევროპიდან შემოტანილს დაადგა საქართველო, მართალია, ისიც რომ პირველი ნაბიჯები ამ გზაზედ იყვნენ თუმცა გამოჩენილი და მნიშვნელოვანი მაგრამ მცირენი რიცხვით. ქართველებმა გამოიჩინეს დიდი ნიჭი, გაითქვეს კიდევაც სახელი, მაგრამ რიცხვი ნასწავლ მოღვაწეებისა იმდენად მცირე იყო რომ იკარგებოდა ხალხის გაუნათლებელ ზღვაში.—თვით ცხოვრება საქართველოში ჯერ კიდევ ნელ-ნელა მიგორავდა უვარგისი გზით.

გაიარა დრომ, ჩვენი ახალგაზრდობა შედიოდა იმ სკოლებში, რომელიც რუსეთმა დააარსა საქართველოში, შემდეგ რუსეთის ან საზღვარ გარეთის უმაღლეს სასწავლებლებში, იზრდებოდა იქ სულ უცხო ნიადაგზედ, სრულებით უცხო საზოგადოებაში; მშობლურ ენაზედ არა ჰქონდათ, და არც ეხლა აქვსთ შეძლება შეესწავლათ ის საგნები, შეეგროვებინათ ის ცოდნა, რომელსაც აძლევდა უცხო ენა. ახალი მოწყობილობა ცხოვრებისა სთხოვდა

მამულიშვილებს სულ სხვა ცოდნას, სულ ახალ მოხერხებას — საქართველო იცვლებოდა თანდათან. დაიჭრა რკინის გზებით; აქა-იქ აბოლდა ქარხნის მილებით; მოიქსოვა ტელეგრაფის და ტელეფონის მავთულებით. მას სჭირდებოდა მცოდნე საკუთარი მრეწველები, განათლებული ვაჭრები, ინჟინრები, აგრონომები, იურისტები, ექიმები, ეკონომისტები და სხვ. სად და როგორ უნდა შეესწავლათ ეს სუ-ყველაფერი?

რუსეთის ისტორიას რომ გადავავლოთ თვალი ამისთანავე სურათს დავინახავთ. განა როდესაც რუ-სეთი ძალაუნებრივ უხვევდა ევროპიულ კულტურის გზისაკენ, ამისთანავე მდგომარეობაში არ იყო? გა-ნა მაშინდელი რუსეთის ახალგაზრდობა ისეთივე „უცხო“ არ იყო თავის აღზრდით? იყო დრო, რო-დესაც რუსულ ნასწავლ წრეებში უფრო ხშირად ფრანგულს გაიგონებდით, ვიდრე რუსულს. ზოგი-ერთმა კარგად არც კი იცოდა წერა-კითხვა. გაიხ-სენეთ გრიბოედოვის სიტყვები ამის შესახებ—რა რიგად დასცინის ის „გაფრანცუზებას“!

დაუკვირდით ეხლანდელ რუსეთს და აშკარად დაინახავთ თუ რამდენი რამ შეჰმატეს მას „გაფრან-ცუზებულებმა“—მათ შეჰქმნეს ნამდვილი რუსული მეცნიერება. მათ შეჰქმნეს დიდი რუსეთი და ეხლა მათ შვილის-შვილებს შეუძლიათ თავის სამშობლო ენაზე შეისწავლონ თითქმის სუყველაფერი, რაც სჭირდება ამ ვეებერთელა სახელმწიფოს. ეხლა აღარ არსებობს უსიკვდილო საჭიროება უცხო ენისა და გათავდა ფრანგული ენის გეგემონია რუსულ საზო-გადოებაში. დროებით „გაფრანცუზება“ იყო ნამ-დვილი პატრიოტული ნაბიჯი რუსეთის მაშინდელ საზოგადოებისა.

ასეთივე ავადმყოფობა ნაციონალურ ფიზიო-ნომიისა უნდა გადაიტანოს საქართველომ—ეს აუ-ცილებელია, როგორც წითელა-ბატონები ბავშვი-სათვის. ეს „ავადმყოფობა“ კარგა ხანია დაიწყო; საქართველოში მოგროვდა და იზრდება ჯგუფი უც-ხოეთში განათლებულ პირთა—ამ ჯგუფს, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ერთი სენი სჭირს—დაშორებია სამშობლო ენას და სამშობლოს ჩვეულებათ. არც იმდენად, როგორც ერთ დროს რუსეთის ინტელი-გენცია, მაგრამ მაინც გვარიანად. უმეტესობა, რა-საკვირველია თავისუფლად ლაპარაკობს და სწერს ქართულად, გაცნობილია საქართველოს ისტორიას, ლიტერატურას, მაგრამ ამ ნაწილსაც, რასაკვირვე-ლია პირველ ხანებში, უფრო ეხერხება იმ ენაზე გა-მოსთქვას თავისი აზრი, რომელზედაც უსწავლია თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში.—„ბატო-ნებო!—ვიღუპებით! ჩვენი ახალგაზრდობა სულ გარუსდაო!“ რამდენჯერ გაგვიგონია და წაგვიკით-ხავს ეს სიტყვები?—ძალიან შემცდარი და მავნე აზრია ესა, ჩვენი შეხედულობით.

შემცდარი იმიტომ რომ ჩვენი ნასწავლი ახალ-გაზრდობა არის ერთად-ერთი იმედი და უტყუარი იმედი ჩვენი სამშობლოსი—მარტო დროებით, **გა-რეგნულად** გარუსების, გაფრანცუზების ან განემე-ცების გზა გვიდევს წინ—ეს აუცილებელია, თუ გვინდა მართლა შევინახოთ ჩვენი ნაციონალური სახე და დავიფაროთ ჩვენი ხალხისნობა გადაგვარე-ბისაგან.

ეს აზრი მავნეც არის, რადგანაც იწვევს გან-ხეთქილებას იქ, სადაც მჭიდრო კავშირი და მე-გობრობა უნდა იყოს. როგორიც უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდობა, მხოლოდ ის შეჰქმნის და ჰქმნის კიდევაც **ახალ საქართველოს, ახალ ცხოვრებას** ქართველი ხალხისას. მხოლოდ ის შეჰქმნის ჩვენს საკუთარ მრეწველობას, ევროპიულ ვაჭრობას, სა-კუთარს მეცნიერებას. ერთი სიტყვით, მისცემს ქარ-თველ ხალხს იმას, ურარაოდ შეუძლებელია ხალ-ხის ცხოვრება მე-XX საუკუნეში.

დადგება დრო, როდესაც ექნებათ ქართველებს შეძლება შეისწავლონ ბევრი რამ ქართულს ენა-ზედ—რუსული ან სხვა ენა ისევ საჭირო იქნება, მაგრამ არა ისე აუცილებელი განვითარებისათვის, როგორც ეხლა.

მაშინ გაჰქრება მოვლენა, რომელიც გვაწუ-ხებს ეხლა და შეიქნება ისტორიულ „მოგონებად“, როგორც რუსებისათვის მაგალითად ფრანგული.

იმათ, ვისაც არა სწამს რა ამგვარ პატრიო-ტიზმისა, მოვაგონებთ პეტრე დიდის დროს რუსეთ-ში.

ვინ იყო ნამდვილი პატრიოტი და ნამდვილი რუსი: პეტრე დიდი და მისი თანაშემწეები, რომ-ლებმაც ჰოლანდელები და ნემცები შემოასიეს რუ-სეთს და მოსკოვი უარჰყვეს, თუ ის „ბოიარები“, რო-მელნიც გრძელს სახელოებს და დიდ წვერებს დაა-ტარებდნენ?—ჩავფიქრდეთ!

ბ. ჭიჭინაძე.

ჰეტერბურგი 1914 წ.

გ ა მ ო ც ა ნ ა

ამბობენ, რომ „საერთაშორისო“ დიპლომატია ბევრჯელ „ფინანსიურ მოსაზრებით“ ხელმძღვანელობს, როცა „უმაღლესი სამართლის“ სასწორს ამა თუ იმ კეთილ საქმისთვისა ხრის საითკენმე. ამბობენ იმასაც, რომ დიდ დიპლომატებს პატარეებიც ჰბაძავენ ხოლმე, თუმცა ცუდათ, მაგრამ მაინც... იმასაც კი ამბობენ, რომ „საერთაშორისო დიპლომატიას“ „ფინანსიური მოსაზრება“ ყოველთვის ისე ესმის, რომ ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი სხვის წყალში თავისათვის თევზებს იჭერს, თუმცა კი ირწმუნება: შენთვის ვიჭერო. წარმოიდგინეთ, იმის თქმასაც კი არ ერიდებიან, რომ პატარა დიპლომატებიც სწორედ ასე იქცევიანო... თუმცა ცუდათ, მაგრამ მაინც. ზოგი იქამდის კადნიერდება, რომ დიდი და პატარა დიპლომატების „ფინანსიურ მოსაზრებაში“, სულ სხვა მოსაზრებასა ხედავს. მაგრამ კადნიერების უმაღლეს საფეხურს ისინი აღწევენ, ვინც ამბობს: „საერთაშორისო დიპლომატიის“ ფინანსიურ ფიცს, მამალ-ხრიკის ბოლოს—ისტორია გამოუჩენსო, მაშინ როდესაც პატარა დიპლომატის ფინანსიურ ფიცს მამლის ბოლო მაშინვე უჩანსო.

ნაცარა.

იტალიანური ხუმრობა

(ნოველა ჯიოვანნო კორიეროსი)

ერთს ბებერ თავადს მშვენიერ ნეაპოლის განაპირას, მყუდრო კუთხეში ჰქონდა ლამაზად ნაშენი „ვილლა“, რომელსაც გამვლელ-გამომვლელნი სილამაზისათვის „villa Rosa“-ს ეძახდნენ. თავადი იმდენად დაბერებული იყო, რომ გამოურკვებისაგან ვეღარ ამჩნევდა, ყურადღებას არ აქცევდა არამც თუ მშვენიერ ვილლას, თავის ცოლის და ქალსაც კი. უკანასკნელნი კი იმდენად ლამაზნი იყვნენ რომ ძნელი გამოსაცნობი იყო, რა უფრო იზიდავდა ლურჯი ზღვის ნაპირისაკენ ნეაპოლელ ახალგაზრდობას, —„villa Rosa“, 40 წლის, მაგრამ კარგად შენახული და მშვენიერი გულ-მკერდის პატრონი ფრანჩესკა დურაკკო, თუ მისი 19 წლის ნაზი და სათუთად ნაზარდი ყვავილივით ტურფა იფიგენია. ყველა ეს მეტად ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ დედა და ქალი ერთმანეთს არწმუნებდნენ რატომღაც, რომ ასეთი მიმზიდველობა მათს კოხტა „ვილლასა“ აქვს.

როდესაც ასეთი „კამათი“ კარგა დიდხანს გასტანდა ხოლმე და დედა-შვილის ემმაკურად გაღიმებულ თვალებში თითქო უნდობლობის ნაპერწკალი გაირბენდა, სიცილ-კიჟინით მიირბენდნენ ბებერ ჯოვანისთან და ლაქუცით დაუწყებდნენ:

— მამა, მართალი არაა განა, რომ ანტონიო ყოველ დღე იმისათვის დაიარება აქეთკენ, რომ ჩვენი ვილლას სიმშვენიერით დასტკბეს?

— ჯიანო, განა სტეფანო გამუდმებით იმიტომ არ უყურებს ჩვენს სახლს, რომ საშინლად უნდა გადაიღოს თავის სახლისათვის ჩვენი ვილლას წინა პირი?

— ჰა? ხო! როგორა?—ჰო, ჰო, რასაკვირველია, დაეთანხმებოდა ბებერი ჯოვანნი და მუხლებზედ შალს გადისწორებდა.

მაგრამ ერთ მთვარიან საღამოს, ჯოვანის ვილლაზედ სტუმრად მოვიდა სტეფანო მანტუცი და სახლის წინა პირის მაგიერ, ყველა პირები დაათვალიერა. ამასთან ისეთი ხუმარა და ოხუნჯი გამოდგა, რომ თვით ბებერი თავადი სთხოვდა საღამოთი: „კვლავაც ნუ დაგვივიწყებთო“; თუმცა პირველში იწყინა მყუდროების დარღვევა და ცოლსაც გაუჯავრდა, როცა სტეფანო ოთახებს ათვალიერებდა: „რისთვის მოათრიეთ ეს უცხო გაციო“.

სტეფანომ მოუხშირა სიარულს და სრულიადაც გადაავიწყდა პირვანდელი მიზანი—სახლის წინა პირის გადაღებისა. მაგრამ ერთხელ ფრანჩესკამ მოაგონა ეს ამბავი ჯიოვანისათვის გასაგონებლად და სტეფანომ მარდათ სტაცა ხელი ამ მოგონებას:

— მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ჩვენი გამოჩენილი მხატვარი ანტონიო დიბრა, ერთი ხანია მთხოვს ნება მომცენ მე გადავხატო ვილლაო და თქვენთვისაც გამოდგებაო. რასაკვირველია ის ჩემზედ უკეთ შეასრულებს ამ საქმეს, თუ კი თქვენი თანხმობაც იქნება.

— დიდათ სასიამოვნო იქნება, სთქვა ფრანჩესკამ. ჯოვანნიმ შუბლი შეიკრა, რადგან კიდევ ერთ ადამიანს უნდა დაერღვია მისი მყუდროება, მაგრამ ხმა-მაღლა ასე სთქვა:

— ჰო, ჰო, დახატოს, ჩვენც გამოგვადგება... და კვლავ შალი გადისწორა.

ამ დღის შემდეგ ანტონიო და სტეფანო ერთად დაიარებოდნენ დურრაკოს სახლში და რაც უფრო საკვირველია, უმეტეს წილად ელაპარაკებოდნენ, ეხუმრებოდნენ და აცინებდნენ თვითონ ჯიოვანის და თითქოს უყურადღებოდ სტოვებდნენ მშვენიერ ფრანჩესკას და ტურფა პეპლუც იფიგენიას.

ჯიოვანნი ისე შეეჩვია სტეფანოს ხუმრობას, რომ იმის მართალიც ადარა სჯეროდა და სულ უბრალო მიზეზი იყო საგმარისი, რომ მის ბებრულ სიცილს კეხმაურებინა იქაურობა. მაგრამ ერთ უცნაურ დღეს ფრანჩესკა და სტეფანო სადღაც გაქრნენ და ანტონიო მარტოდა ცდილობდა ბებერის კართობას. ამას ვერ ახერხებდა და ბებერი წამდაუწუმ კითხვაში იყო, სად არის ფრანჩესკა, ჩემი ცოლი ფრანჩესკა.

— უოუოდ სტეფანომ კიდევ იხუმრა რამე, ამშვიდებდა მამას ანტონიოს წასვლის შემდეგ — ფიგენია და თან ცდილობდა მომხვდარიყო თუ რად უნდა წასულიყო მისი დედა.

სტეფანოს ხუმრობა კარგა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ როცა მეორე დღეს მოვიდა ისევ ისეთი მხიარული, ხუმარა, ჯიოვანნიმ დაიჯერა თითქოს, რომ მან „იხუმრა“ და ნამეტნავად მაშინ, როცა ფრანჩესკამაც დაურთო:

— ოჰ, ვერ წარმოიდგენ რა ხუმარა ყოფილა სტეფანო, მთელი გზა კინაღამ სიცილით მომკლაო.

არავინ იცის, წამბაძველობით მოუვიდათ, მართლა ხუმრობის გუნებაზედ დადგნენ თუ სხვა რამ მიზეზი იყო, მაგრამ ერთი კვირაც არ გასულიყო, რომ „Villa Rosa“ ჯიოვანნის, ფრანჩესკას და სტეფანოს ამარა დარჩა და იფიგენია ანტონიოთი კი ადარ ახმაურებდნენ იქაურობას.

საშინლად ღელავდა და ჯავრობდა დედა, ოხრავდა და მოსთქვამდა ჯიოვანნო და მარტო სტეფანო არა ჭკარკავდა სულის სიმშვიდეს და კვლავინდებურად იცინოდა, ხუმრობდა.

— მოვლენ, უოუოდ გვეხუმრებიანო.

მართლაც მოვიდნენ; ტოტა დარცხვენილები დადადულნი, მაგრამ მაინც ხომ მოვიდნენ.

— სად იყავით სადა, შეპილპილდა ბებრულად მამა.

— დმერთმანი ვიხუმრეთ, ჩვენ გვინდოდა შეგვეშინებინეთ ტოტა და სასეირნოთ ვიყავით, დარცხვენითა სოქვა იფიგენიამ.

— რა დროს ხუმრობაა, რის ხუმრობა, მე გითხოვთ ჩემი სახლიდან წახვიდეთ, მე არ მინდა, ჩემი სახლი სამარცხვინოდ გაგხადო, — ცეცხლს იკიდებდა ფრანჩესკა — ეს რა უბედურებაა, ეს...

— რად, რად ჯავრობ ფრანჩესკა, გახსოვს შენ თვითონ მარწმუნებდი, რომ შენ და სტეფანომ იხუმრეთ და რატომ არა გჯერა რომ ეგენიც იხუმრებოდნენ, ჩაურთო თავისი ხრინწიანი მოსაზრება ჯიოვანნიმ, — ეგენი უფრო უმაწვილები არ არიან.

ფრანჩესკამ ენაზედ იკვნიტა, მაგრამ სტეფანომ აქაც გაამხიარულა ყველანი: ხუმრობა საუცხოო რამ არის, ის თუით სიცოცხლის სიცოცხლეა, სოქვა და ჯიოვანნის აკოცა დანაოწებულ შუბლში.

შარიანი.

„ფინანსიური მოსაზრებანი“

ყოველმა კავკასიელმა ზეპირად იცის ტექსტი იმ ისტორიულ რეზოლუციისა, რომლის ძალით საპოლიტეხნიკუმო ადგილად ნავთლუღი გამოცხადდა და არა საბურთალო. მართალი ის რომ მიუხედავად საერთო უკმაყოფილებისა, რომელიც დაბადა ამ რეზოლუციამ, კიდევ ბევრს სწამდა, რომ მხოლოდ „ფინანსიურმა მოსაზრებებმა“ აიძულა უმაღლესი მთავრობა, ნავთლუღისთვის მიეცა უპირატესობა. და ამ იძულებაში მთავარ როლს ის გარემოება თამაშობდა, როგორც მაშინ გვარწმუნებდნენ, რომ ხაზინა უარს ამბობდა რამე დახმარება აღმოეჩინა პოლიტეხნიკუმისათვის. რაკი მდგომარეობა ასეთი იყო, ცხადია უპირატესობა ისეთ ვარიანტს უნდა მისცემოდა, რომელიც უკეთეს ფინანსიურ პირობებს „ჰქმნიდა“ პოლიტეხნიკუმისთვის. ასეთ ვარიანტად ნავთლუღის ვარიანტი დასახეს და უპირატესობაც მას მიენიჭა.

ამის გამო, ჩვენ მაშინ ვსწერდით: თუ საქმე ფულებშია, დეე, კავკასიის მთავრობამ ისევ კრედიტი ითხოვოს პოლიტეხნიკუმისთვისა, და მაშინვე ღრმად გვწამდა, რომ ცენტრალური მთავრობა ამისთვის ფულს არ დაიშურებდა. მაგრამ ამის საპასუხოდ ჩვენ მოვისმინეთ ღრმად ავტორიტეტული აზრი მეფის მოადგილისა, რომელიც კვლავ გვარწმუნებდა — ცენტრალური მთავრობა ინდიფერენტულად უცქერის პოლიტეხნიკუმს. ამ რიგად, წინაალმდეგ საღის მოსაზრებისა; პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში იქმნა გადატანილი. მაგრამ ცხოვრებამ მალე გაბათილა ის ორი დებულება, რომელზედაც ემყარებოდა უმთავრესად, უპირატესობა ნავთლუღის ვარიანტისა. ნავთლუღში არავითარი ფინანსიური პირობები არ აღმოჩნდნენ და არც ცენტრალური მთავრობა ყოფილა თურმე ისე ინდიფერენტულად განწყობილი კავკასიის პოლიტეხნიკუმისადმი, როგოც გვარწმუნებდნენ. გაზეთებში უკვე იყო აღნიშნული, რომ ხაზინა პოლიტეხნიკუმს ერთდროულად შვიდას ათას მანეთს აძლევს, ხოლო, ყოველ-

წლიურად ოთხასს ათასსო. თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა, ჩვენ მოხარული ვიქნებით ამისა, რადგანაც ისე არას დროს არ ესაჭიროებოდა კავკასიის პოლიტეხნიკუმს ასეთი დახმარება, როგორც ეხლა, როცა იგი ნავთლულში მოომწყვდა, მაგრამ არა ნაკლებ მოხარულნი ვართ იმისიც, რომ ამით სავსებით მტკიცდება სიყალბე საზოგადო აზრის იმ მისტიფიკატორებისა, რომელთაც შექმნეს არ არსებული ფინანსიური უპირატესობანი ნავთლულისა.

ეჭვი არ არის, რომ ცენტრალურ მთავრობის ასეთი უხვი დახმარება შედეგი იქმნება იმ მზრუნველობისა, და კეთილის სურვილებისა, რომელსაც იჩენს გრაფი ნამესტნიკი, მაგრამ იბადება ერთი საკითხი: ნუთუ ამ დახმარების მოწყობა უკეთესი არ იქმნებოდა მაშინ, როდესაც საპოლიტეხნ. ადგილი ჯერ ამორჩეული არ იყო? მაგრამ ჩვენ ვეჭვთ, რომ თვით გრაფი იყო შეყვანილი შეცდომაში სომხის ინტრიგანებისაგან, რომელთაც **შესთხზეს ფინანსიური უპირატესობა ნავთლულისა**—რითაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს გრაფი მაშინაც და ნამეტნავად ეხლაც, როცა ხაზინა იძულებულია სრულიად გაამთილოს თავისი უხვი დახმარებით—ფინანსიური მოლაზრებანი სომხებისა.

Z

თანამედროვე ჯამბაზობა

ტყუილად ამბობენ, ვითომ ერთ ხელში ორი საზამთრო არ დაიჭირებაო! არიან ისეთი „პარტიები", რომელნიც ერთ ხელში სამსაც იჭერენ. აი აიღეთ თუნდა ,,სახალხო ფურცელის'' № 16 და რას ამოიკითხავთ:

ჯერ ფრიად დასაბუთებულს და მშვენიერს დებულებას, რომ,

ქართველმა ერმა თვით უნდა გასჯდოს თავისი ბედი. მან უნდა ამოძრავოს მატერიალური, საწარმოო ძალები, მან საძირკველი უნდა ჩაუყაროს **თანამედროვე მეურნეობას და ინდუსტრიას**, გასწმინდოს თავისი ენა და სხ...

ამასთანავე უსაყვედურებენ დასელებს:

ის (დასელი) ხედავს მხოლოდ **მემამულეს და გლეხს, მუშას და ინტელიგენტს, სოციალისტს და ლიბერალს**...

ახალი საქართველო კი, რომელიც მესამე დასის შემდეგ გამოვიდა პოლიტიკურს ასპარეზზე შეგნებულად იბრძვის ეროვნული იდეალისთვის და შეგნებულად უკავშირებს ამ იდეალებს წარსულ თაობათა საუკეთესო ანდერძს. ამ ანდერძში კი არც ერთი განძი არ არის ისე ძვირფასი, როგორც **გაერთიანებული საქართველოს იდეა**. *)

თუ დააკვირდებით ამ ამონაწერებს და კბილს გაუსინჯავთ ხაზგასმულ სიტყვებს, უნდა აუცილებლად იმ დასკვნამდე მიხვიდეთ, რომ ბ-ნ გერონტი ქიქოძეს, რომელიც ხელს აწერს ამ წერილს—გარკვეული **ეროვნული** პროგრამა აქვს, საცა კლასთა და პარტიათა ბრძოლა შეთანხმებულ-შეგუებული უნდა იყოს გაერთიანებული საქართველოს იდეასთან. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ,,თანამედროვე მეურნეობას და ინდუსტიას'' ბ-ნმა ქიქოძემ სოციალისტური თვალსაზრისი წაუმძღვაროს, რადგან პირველი უეჭველი შედეგია ბურჟუაზიის და წვრილ მესაკუთრე—გლეხობის შემოქმედებისა. რომ ბ-ნი ქიქოძე ასე ფიქრობს, ამას ცხად-ჰყოფს მეორე ჩვენი ამონაწერიც, საცა იგი უკიჟინებს დასელებს გამწვავებას კლასთა და ჯგუფთა დანაწილებისას.

ჩვენ არ ვიცით, ვის გულისხმობს ბ-ნი ქიქოძე „ახალ საქართველოს" წარმომადგენელად, მაგრამ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია გავაფრთხილოთ პატივცემული ახალგაზრდა მწერალი, რომ დიდათა სცდება, თუ ამ ტერმინის (ახალ საქართველოს) ფარგლებში აქცევს იმ ორგანოსაც, რომელშიაც თვითონა სწერს. ამის დამამტკიცებელი მაგალითები უთვალავია და მათი ჩამოთვლა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ერთ საჟურნალო წერილში, მაგრამ ზოგიერთს კი გვერდს ვერ აუხვევთ, როგორც ძირითადს; მაგ. „სახალხო გაზეთი" სრული წინააღმდეგია „თანამედროვე მეურნეობის და ინდუსტრიის" განვითარებისა და იმდენადაც, რომ ყველას, ამ განვითარების მომხრეს (მაშასადამე გ. ქიქოძესაც) „მეწვრილმანების პოლიტიკოსებს" ეძახის და მიწასთან ასწორებს. იგი ისეთივე თავგამეტებული დამცველია **კლასთა ბრძოლის** პრინციპისა, რომელიც ერთად-ერთ პროგრესის მომასწავებელ მოვლენად მიაჩნია და ყველა დანარჩენი ეშმაკისაგან არს. და ნამეტნავად ებრძვის იმ თავადაზნაურობას, რომლისაგან თვითონ შესდგება და რომლის პურსაცა სჭამს, ე. ი. თავის-თავსა. ამას შემდეგაც დაუბრუნდებით და ახლა საუცხოო მაგალითს ამოვწერთ „ორი საზამთროს ერთი ხელით დამჭერ პარტიის" ორგანოდან.

იმავე ,,სახალხოფურცლის'' № 16-ში, გერონტი ქიქოძის წერილს მოსდევს ბ-ნ ,,სიტყვას'' წერილი:

მთ (სტენის მოღვაწეთა) კრებას ძალა-უნებურად ადარებ კაცი თავად-აზნაურთა კრებას, რომელიც

*) ხაზი ყველგან ჩვენია.

კამართული იყო იმავე დარბაზში რამდენისამე დღის წინად. რა განსხვავებაა მათ შორის, როგორ დაშორებულია ერთი-მეორეს.

თ.-აზნაურთა კრება—ეს მიმავალ ქართველების კრება იყო, რომელნიც იყვნენ და დღეს კი არ არიან, რომელნიც იმით არსებობენ, რაც ჭქონდათ და რაც არა აქვთ, არ ექნებათ. სასტენო მოღვაწეთა ურილობა კი მომავალ ქართველების კრება იყო, რომელთაც ეველაფერი ეკუთვნით, რომელნიც ეველაფრის პატრონები იქნებიან. ერთნი წოდებრივობის ფარგალში იყვნენ მომწყვდეულნი, მეორეთ გადალახეს ეს ზღუდეები და მოვიდნენ, როგორც წარმომადგენლები იმ ხალხისა, რომელიც ჭქმნის ახალს საქართველოს, თანასწორობაზე აგებულს და დამკვიდრებულს. ერთნი მუშაობდნენ უხალისოდ, ზანტად, უიმედოდ, ურწმუნოდ; მეორენი—რწმენით, მუყაითობით, სიმხნით. ერთნი ცოცხალმკვდრებს მოკაგონებდნენ, მეორენი სადნი იყვნენ და სიცოცხლით ადსავსენი...

თურმე ნუ იტყვით, **ასეთი** განსხვავება ყოფილა ორ კრებათა შორის და განა შესაძლებელია მაგალითად ლაპარაკი ასეთ ორ **მოწინააღმდეგე** ლაშქარის სოლიდარულად მოქმედებაზედ, როგორც გამოდის ბ-ნ ქიქოძის ზემო მოყვანილ სიტყვებიდან? სრულებით შეუძლებელი ხდება ლოგიკურად თუ გაჰყევით ,,სიტყვას'' სიტყვას. თუ კი **ერთ ორგანოში**, ერთი პარტიის ფარგლებში ვერ შეთანხმებულა ორი მწერალი და ქიქოძე სწერს იმას, რასაც არღვევს ,,სიტყვა'' (ერთსა და იმავე ნომერში), როგორ შეიძლება ლაპარაკი სოლიდარობაზედ, ლაპარაკი მემამულესა და გლეხს შუა, მუშასა და ინტელიგენტს შუა ,,გაერთიანებული საქართველოს იდეისათვის''?

მაგრამ თუ ჩაუფიქრდებით სინამდვილეს, რა საკვირველია სოლიდარულ მოქმედებისათვის ნიადაგი დიაღაც დიდია. კლასთა და პარტიათა ბრძოლა ვერასოდეს ვერ მოსპობს იმ შინაგან დუღაბს, რომელიც აკავშირებს **ერს** ბევრჯელ შეუმცნეველის და ბევრჯელ შეგნებული ძალღვებით.

ავიღოთ შესადარებელ მასალად თვით ის კრებანი, რომელზედაც ლაპარაკობს ბ-ნი სიტყვა. ერთიც და მეორეც თავით-ბოლომდე ერთგვარია თავის შემადგენელობით; ერთიც და მეორეც წმინდა თავად-აზნაურულია და ბ-ნ სიტყვას ლაპარაკი ,,ხალხზედ'', მეტი რომ არა ვთქვათ—უბრალო სიყალბეა. ვინ არის ეს ხალხი? იგივე ,,ბრწყინვალე წოდების'' წარმომადგენელნი; დაწყებული თვით ბ-ნ ,,სიტყვასაგან'', და გათავებული ლასხიშვილკიტა აბაშიძემდე, ამ კრებაზედ თქვენ ვერ ნახავდით (ყოველ შემთხვევაში ვერ გაიგონებდით) ვერც ერთ გლეხს. რასაკვირველია, შეიძლება სთქვან რომ ჩამომავლობა არასა ნიშნავს, საქმე რწმენაა, მაგრამ ეს თუ მართალია ცალკე პირებისათვის, სრულიად გამოუსადეგარია მთელი საზოგადოებისათვის. საზოგადოებას კი, ჯერ ასეთი მაგალითი არა ყოფილა ქვეყნიერობაზედ, არ შეუძლიან ძირიან-ფესვიანად უკუაგდოს ის, რაც საუკუნოებით შეუძენია. ჩვენ ამით სრულებითაც არ გვინდა დავიცვათ ვისიმე წოდებრივი მისწრაფებანი, მაგრამ სოლიდარულ ეროვნულ მუშაობისათვის თუ კი სადმე ვიპოვით სასარგებლო მასალას, ყველა უნდა გამოვიყენოთ. ასეთი მასალა ბევრია თანამედროვე თავადაზნაურობის **საზოგადო კრებებში** და თვალდახუჭული უნდა იყოს ადამიანი— ამ მასალით არ ისარგებლოს.

მაგრამ შევადაროთ ეს კრებები სხვა მხრივაც. თურმე თ.-აზნ. კრება ,,მომავალ ქართველების კრება იყო'' და ამ კრებაზედ კი დაკანონდა ისეთი დიდი ეროვნული საქმე, როგორიც არის კახეთის რკინის გზა, რომელიც პირდაპირ ინდუსტრიალურ ფერხულში აბამს ქართველობას, რომელიც გზას გაუკაფავს მრავალ ქართველს მუშაობისადმი და არა ცარიელ ლაყბობისაკენ. ამავე კრებაზედ დამტკიცდა წესდება საადგილ-მამულო კომისიისა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ჩვენში მიწის და მეურნეობის საკითხთა გარდაწყვეტას. ამავე კრებაზედ ყოველ წლიურად სწყდება საკითხი ერთად-ერთი ჩვენი გიმნაზიისა, რომელსაც ინახავს თავად-აზნაურობა. აქავე სწყდება იმ სათეატრო საკითხების ბედიც, რომელთაც ბ-ნი ,,სიტყვა'' ასეთ დითირამბებს უგალობებს და სწორედ რამდენიმე დღის წინად დრამატიულ გამგეობის წევრი და სასცენო მოღვაწეთა კრების პრეზიდიუმის წევრი—ეხვეწებოდა თავად-აზნაურობას, თქვენი დახმარება **25—30** მანათით ცოტაა და კიდევ სამი ათასი მოგვეციოთო. **„მომავალ საქართველოს“ კრებამ უმრავლესობით გადასწყვიტა დაეხმაროს „მომავალ საქართველოს“.**

ასეთი მაგალითები უთვალავია და მარტო უბრალო უმადურობით აიხსნება ასეთი დაჟინებით ბრძოლა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ.

გარდა იმისა, რომ „მომავალ საქართველოს“ (?) კრებაზედ ჩვენ ვერ გვიჩვენებენ ვერც ერთს, გამოსულს არა თავად-აზნაურულ წრეებიდან, (ლას-

ხიშვილი, აბაშიძე, ბარათაშვილი, მესხიშვილები მამა და შვილი, ფაღავა, ღამბაშიძე, ჯაჯანაშვილი, დადიანი, ანდრონიკაშვილი და სხვა და სხვა. „ხალხი“ უთუოდ ის ლაქია იქნებოდა, რომელიც კარებს უღებდა წევრებს) - ბევრნი აღიზარდნენ თავად-აზნაურობის სკოლაში და დღესაც ცხოვრობენ მათის მეოხებით. თვით „სახალხო ფურცელის“ ხელმძღვანელნი და მათი ორგანო თავად-აზნაურობის ხარჯით ინახება—ეს ყველამ იცის; მაგრამ არა თავად-აზნაურობისაგან, როგორც დაწესებულებისაგან, არამედ როგორც მკითხველთა და განცხადებათა მიმცემ კონტინგენტისაგან. და ეს ასეა არა მარტო გაზეთის თავსა, არამედ ყველა დაწესებულების თავსა: თუ ვთქვათ ერთ დღეს თავად-აზნაურებმა, როგორც დაწესებულებამ, ბოიკოტი გამოუცხადა ჩვენს დაწესებულებათ და თავად-აზნაურებმა, როგორც წოდების წევრთ, ხელი აიღეს ჩვენ დაწესებულებებზედ—ყველაფერი გაიყინება და მოკვდება. მოკვდება **საზოგადოებრივი** ცხოვრება და რასაც ბ-ნი „სიტყვა“ „ხალხით“ გააკეთებს—ეს სულ სხვა სფეროს მოქმედება იქნება.

ჩვენ დავასახელეთ ცოტად თუ ბევრად ის საგულისხმიერო საკითხები, რომელნიც გადასწყდა თავად-აზნაურობის კრებაზედ. ახლა ვნახოთ რა გაკეთდა „მომავალ საქართველოს სიცოცხლით აღსავსე კრებაზედ“. თუ თვით ბ-ნ „სიტყვას“ სიტყვებს ამოვწერთ, პრაქტიკულს შედეგს ასეთს დავინახავთ: „ჩვენი მსახიობები უკვე შეუდგნენ სასცენო მოღვაწეთა პროფესიონალურ კავშირის დაარსებას; ახლო მომავალში მოვესწრებით საპენსიო კასის დაარსებასაც. ესეც დიდი საქმეა“. ამის გარეშე გამოთქმული იყო ბევრი არა პრაქტიკული სურვილი და ლათაია; მართალი უნდა ითქვას, ქართული ენით. მაგრამ პროფესიონალური კავშირი და საპენსიო კასა ვერ მოიტანს ვერც ქართული თეატრის გაუმჯობესებას, ვერც მსახიობთა განიჭიერებას, ვერც სათეატრო მწერლობის აღორძინებას—რაზედაც იყო მსჯელობა. რაც შეეხება უშინაარსო სურვილებს—ასეთები ბევრი იყო: მაგ. ბ-ნ ი. გედევანიშვილი მოითხოვდა.... „დრამატურგების კავშირს, მწერალთა უფლების დასაცავად და გონორარის გასადიდებლად“; ბ-ნი ფაღავა აქა-იქ ამოკენკილ ტრაფარეტული ფრაზებით ამტკიცებდა... თეატრის, სულიერ განცდათა და ხელ-ფეხის მოუხეშავად ქნევის განსხვავებას და ასეთ საბავშვო სათამაშოებს „მომავალი საქართველოს“ კრება სერიოზულად სჯიდა და კამათში მონაწილეობას იღებდა... დრამატურგების კავშირი, სამხატვრო თეატრის პოტინი ყველა გამოუცდელისაგან... ყველა ეს მშვენივრად დაასურათა ბ-ნმა შალიკაშვილმა იმ ანეგდოტით, თუ როგორ ირთობდა თავს ძაფზედ ჩამოკიდებული ლორის ნაჭრით გურული ოჯახი. ჩვენ არ უარვყოფთ სცენის მოღვაწეთა ყრილობის დიდ მნიშვნელობას საზოგადო მოსაზრებითაც და კერძოდ თეატრისათვისაც, მაგრამ აღნიშნულ კრების მაღლა დაყენება თავად-აზნაურობის **წრევანდელ** კრებაზედ, ცოტა არ იყოს მეტად გაბედული სიტყვაა. ის ,,მომავალი საქართველო'', რომელიც თავად-აზნაურობისაგან შესდგება, თავად-აზნაურობის სკოლაში აღიზარდა, თავად-აზნაურობის სახლში იჯდა და მსჯელობდა, თავად-აზნაურობის ქველმოქმედებით იკვებება—არ იყო ის კრება, რომელიც შეჰქმნის ნამდვილს ჩვენს ეროვნულ მომავალს,—ის მხოლოდ ანარეკლია ჩვენი ცხოვრებისა და ანარეკლადვე დარჩება. ასეთი მიდგომით ლაპარაკი კი, როგორც ბ-ნ ,,სიტყვას'' მოუსურვებია, მარტო პარტიული გატაცებით და მტრის თვალის დაყენების სურვილით თუ არის გამოწვეული. ასეთი ყალბი დიაგნოზით საზოგადოების შეყვანა შეცდომაში ადვილია, მაგრამ საეროვნო, საერთო საქმეს არაფერს არგებს. ის სოლიდარული მოქმედება ,,გაერთიანებული საქართველოს იდეისათვის'', რომელსაც აღიარებს ბ-ნი ქიქოძე, არ ეთანხმება ბ-ნ ,,სიტყვას'' შედარებას ,,მომავალ'' და ,,მომავალ საქართველოისას“ და, ჩვენის აზრით, ბ-ნ ,,სიტყვას'' წერილი ზემოდან დადებული საზამთროა, რომელიც მოძრაობის დროს უეჭველად გადმოვარდება და გასკდება ბუშტივით, მაშინ როდესაც ბ ნ ქიქოძეს საზამთრო, კარგადაა ჩაჭედილი ხელში და მიზნამდისაც უვნებლად მივა. ერთი ხელით ორივე საზამთროს დაჭერა კი დაუტოვეთ აზრთა ნამდვილ ჯამბაზებს, ასე ემჯობინება.

* * *

ეროვნული უძლურება და მისი სამი სახე

III

სანამ ეროვნების მეორე თვისების შესახებ წერას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლე განმარტება წაუმძღვაროთ იმას, თუ რა იგულისხმება

სიტყვა „თვისებით“. ეს აუცილებელი არის, რადგან სიტყვა „თვისება“ შეიძლება იხმარებოდეს, როგორც რაიმე მოვლენის დასახასიათებლად, ან და როგორც დროებით მითვისებულ საგნის ხილულ ფორმის გამოსასახავად, მაგრამ არც ერთი ეს შემეცნება სიტყვა „თვისებისა“ არ გამოდგება, როდესაც „ერის“ შინაარსის გამოკვლევასა ვცდილობთ, რადგანაც, აქ საკითხი ეხება არა დროში შეძენილ თვისებას, რომელიც დროსთანვე კვდება, არამედ სპეციალურ, გარდუვალ ხასიათს და ამისათვის ჩვენ ყოველთვის, როდესაც ეროვნების დამახასიათებელ თვისებებს ვეხებით, სახეში გვაქვს სახელდობრ ისეთი თვისებანი ურომლისოდაც ერის არსებობა შეუძლებელია. ესევე გვქონდა მხედველობაში, როდესაც შევეხეთ ეროვნული ენის შენახვის აუცილებლობას ერისავე საკეთილდღეოდ, რადგანაც ენა ერისათვის იგივეა, რაც ფერადები მხატვრისათვის; როგორც ეს უკანასკნელი უფერადოთ ვერ შესძლებს განასახიეროს მის არსში გამონაკვთული სახე, ისე ერიც უძლური და სუსტია უენოდ, თავისი ღრმა შინაარსის დაკანონებაში. ამ მცირე განმარტების შემდეგ მოკლედ შევეხებით იმ საკითხს, თუ რამდენად ისახება ერის ინდივიდუალობა მის ზნე-ჩვეულებაში.

არც ერთი ერი მზა ეროვნული სახით არა შობილა და არც ერთი ერის კულტურა არ არის შედეგი კერძო პიროვნებათა ნებისა და არც განსაკუთრებული ნაყოფი ობიექტიურ არსებობისა. პარალლელიზმი პირადი ნებისა და პირობებისა დაღად ამჩნევია მთელი კაცობრიობის ისტორიას, რომელმაც განვითარების უთვალავი საფეხურები განვლო. მაგალითები რომ საჭირო იყოს გადაჭარბებით ვუჩვენებდით ისტორიულ ერების ცხოვრებიდგან და მკითხველის ყურადღებას განსაკუთრებით მივაქცევდით რომაელთა მოქალაქობრივ ცხოვრების განვითარებაზედ. კლასიკური ეპოქის შემოქმედების საუცხოვო ქურუმნი, რომაელები და ბერძნები, რომელთა კულტურაზედ აეგო დღევანდელი ევროპის ყოფა-ცხოვრება, მათი განუზომელი სიღრმის ისტორია, უტყუარი მოწამე არის თუ რამდენად შესისხლხორცებული, შედუღებული იყო მათში ნება და რეფლექსი შემოქმედებისა. ათ-თორმეტთა ღმერთთა კულტი, მათი მცნებანი, ხალხური ფანტაზიით შექმნილნი... ჰარმონიულად შეეზავნენ სახელმწიფოებრივ ფორმებს, რომელშიაც ცხადად სჩანს დაჭიმული ძარღვი პირადი ნებისა, და რომელშიაც ხალხურ ელემენტს იმდენად ჰქონდა ადგილი, რამდენადაც საერთო ეროვნული ზნე-ჩვეულება ხელს უწყობდა რაიმე იურიდიულ ინსტიტუტის შექმნას. რელიგიური და მოქალაქობრივი ჩვეულება, ტრადიცია, რომლის დებულებასაც იზიარებდა მთელი რომაელი ერი და რომელიც გამოწვეული იყო, თუ სავსებით არა—უმეტეს ნაწილში მაინც, იმ ბუნებრივი პირობებით, რომლებშიაც სცხოვრობდა იგი,—დაედვნენ სარჩულად რომაელთა კანონმდებლობას და სხვა და სხვა უფლებრივ ინსტიტუტების შექმნას, როგორც მაგალითად—მეფეთა შეუზღუდველი უფლება, ეროვნული კრება, ცოლქმრული კავშირი, დედ-მამის უფლება და სხვა.

ღრმა ანალიზის მერე, საოცარი სინამდვილით იხატება თანხმობა, ანალოგია, რელიგიურ ტრადიციებისა უფლებრივ ინსტიტუტებთან.

რელიგიური დინამიკა რომაელებმა იუპიტერის სახით დაგვიხატეს, რომელსაც ჩვეულებრივ მომაკვდავთა სამყაროში შეესაბამება მეფე, აღჭურვილი შეუზღუდველი უფლებით, მაგრამ იუპიტერი, როგორც უნივერსალი ხვთაებრივობისა არ უარჰყოფდა კონკრეტულ ღვთაებათა წარმომადგენელების არსებობას. მაგ. მარქსი, მინერვა და სხვა, რომლებსაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდათ მსოფლიოს ბედ-ილბალის წალმა-უკუღმა ტრიალზედ. რომაელთა მითოლოგიურ თქმულებებში ხშირად შევხვდებით ჩვენებას, რომ ოლიმპის ღმერთთა სხდომაზედ სწყდებოდა საკითხები, რომლებიც შეეხებოდნენ მომაკვდავთა ყოფა-ცხოვრებას და ეს რელიგიური ლეგენდები, განა სავსებით არ შეესაბამებიან ხალხურ კრებას, (народное собраніе) რადგანაც ანალოგიური სინამდვილით კერძო პიროვნებათა სურვილი, აზრი საერთოსა ჰქმნის და ემორჩილება მას, როგორც ნებას უზენაეს ღვთაებისას ემორჩილება ნება დანარჩენ კონკრეტულ ღვთაებრივობის წარმომადგენელ. ასე და ამ გვარად ზნე-ჩვეულება, ტრადიცია, როგორც საზომი ეროვნების მორალური განვითარებისა, სარჩულად ედებოდა მოქალაქობრივ წეს-წყობილებას და თუ სავსებით არ სწყვეტდა მათ ხასიათს, თავისებურ მისტიურ დაღს მაინც ასობდა.

მაგრამ, იმის მიზეზით რომ ხალხის ეთიკური გემოვნება რთულდება და იცვლება, საერთო ცხოვრების გართულებასთან ერთად იცვლება აგრედვე ტრადიციაც, ჩვეულებაც, რასაც თანა სდევს ბევრჯელ, შეცვლა უფლებრივ ფორმებისა.

ზნე ჩვეულება, როგორც ახალი ფსიხოლოგიურ სახისა, რომლის დედანი ღრმად ინახება კერძო აზროვნებათა ფარულ ბუნებაში, არ არის ნაყოფი მომენტისა, იგი მუშავდება, ინაკვთება თანდათანო-

ბით და რაც უფრო ოჯახი, ან ჯგუფი ან ერის საერო ცხოვრება რთული და მჭიდრო არის, ზნე-ჩვეულებაც მტკიცე და ხანგრძლივია. ამ მხრივ პირველ-ყოფილ ადამიანთა ცხოვრება, ცხადია არ წარმოადგენდა მაინცა და მაინც მდიდარ სალაროს, თუ გინდ მხოლოდ იმიტომ, რომ პიროვნება უერთდება პიროვნებას რაიმე სადღეისო სურვილის ასასრულებლად და შემდეგ შორდებოდა; მათ შორის ხანგრძლივი კავშირი არ ასებობდა და რა თქმა უნდა ასეთი დაქუცმაცება-დაქსაქსვა არ წარმოადგენდა ნიადაგს, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყოს რაიმე კოლექტიურ შეხედულების აღმოცენება.

ამ თვალსაზრისით შემცდარი არ არის ის შეხედულება, რომელიც საკმაო სინამდვილით აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც კულტურამ ფეხი შესდგა კერძო საკუთრების საფეხურზედ, შესაძლებელი გახდა, რომ პიროვნებათა შორის მჭიდრო და ხანგრძლივი კავშირი დამყარებულიყოს, რასაც თან სდევდა ზოგადი ზნე-ჩვეულებისა და ტრადიციების წარმოშობა, მაგრამ მიწის კულტურის აღორძინების ხანა უკვე ძლიერ მაღალი სოციალური საფეხურია და კაცობრიობის ეროვნებად დიფერენციაციის პროცესი წინ უსწრებს მას: უკე ეგვიპტელებს, ასსურელებს და სხ. აქვთ საკმაოდ მაღალი მიწის კულტურა და ამითი აიხსნება კიდევაც ის გარემოება, რომ დასახელებულმა ერებმა, რადგანაც ჰქონდათ ნიადაგი სოციალური არსებობისათვის, შესძლეს შექმნა მთელი რიგი ზნე-ჩვეულებისა, რომელიც საფუძვლად ედებოდა მათი არსებობის მრავალ მხარეს. მიწის კეოძო საკუთრებად ქცევამ, მიაბა ადამიანი განსაზღვრულ სივრცეს. საკუთრების დაცვის სურვილმა აიძულა პიროვნება თავისსავე მსგავს პიროვნებასთან დაკავშირებაზედ,; კავშირი ითხოვს კომპრომისს, დათმობას, ასაზოგადოებს ნებას, და ეს უკანასკნელი ხელს უწყობს საზოგადო ზნეობას, ჩვეულების ჩასახვა-განვითარებას.

ერი გაცილებით უფრო ინდივიდუალური ჯგუფია ვიდრე ოჯახი, მოდგა და სხ. და მისი ღრმა მისტერია ფილოსოფიაში, ან მეცნიერების რომელიმე დარგში კი არ იხატება, არამედ ზნე-ჩვეულებაში, როგორც მის მორალურ ღირებულებათა სალაროში. თუ რამდენად ერი თავის კერძო ინდივიდუალური სახით იბეჭდება მის მიერვე შექმნილ ზნე-ჩვეულებებში, ნათლადა სჩანს მის საერთო კულტურიდგან და განსაკუთრებით ხალხის ფანტაზიის შემოქმედებაში, ხალხურ ლირიკასა, მითოლოგიასა, არაკებში და სხვ.

ბუნებრივი პირობების ზეგავლენით, რომაელები იძულებული იყვნენ მთავარი ყურადღება მიწის მეურნეობისათვის მიექციათ, რაიც ითხოვდა დაჟინებულ მუშაობას და პირიდი ინიციატივის განვითარებას, გაძლიერებას ხელს არ უწყობდა; პიროვნება მხოლოდ ერთი საშუალებათაგანი იყო, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იყო მხოლოდ რაიმეს დაწყება, დასრულება კი ემორჩილებოდა უზენაესად მომქმედ ძალებს; ერთგვარი ფატალიზმი ჰკლავდა პიროვნებას, და რომაელთა რელიგიაც წარმოადგენდა უსახო ღმერთთა სამყაროს, რომლებიც ხატავდნენ მხოლოდ ადამიანთა ყოველ-დღიურ წვრიმალ დამოკიდებულებას და ჩვენა ვხედავთ, რომ ეს ეროვნული თვისება, ხასიათი, ჩვეულებად ქცეული, საკმაო სიძლიერით აღიბეჭდა მათ საუცხოვო კანონმდებლობაში რომლისთვისაც ნება პიროვნებისა ფიქცია იყო და თვით პიროვნება საფეხური უფრო რთული ორგანიზმისა. პირიქით, ბერძენთა ნაციონალურმა რელიგიამ, რომელშიაც,—განსაკუთრებით პირველ აღორძინების ხანაში განსახიერდა ეროვნული ხასიათი,—შეჰქმნა მშვენიერ და მხიარულ ღმერთა სამყარო, რასაც სავსებით შეესაბამებოდა ელლინთა ლაღი და თავისუფალი ფანტაზია. ეგოცენტრიული ფილოსოფიური სისტემა საბერძნეთის კუნძულებზედა შვეს მისმა გამოჩენილმა მეცნიერებმა, სადაც კულტი პიროვებისა უმაღლეს წერტილამდის მიიყვანეს; სწორედ ამ გვარმა სხვა და სხვაობამ შვა სხვა და სხვა ზნე-ჩვეულება, რომლის შედეგად კაცობრიობამ მიიღო მათი საუნჯე, რომაელთაგან—მწყობრი, საკვირველი კანონმდებლობა და ბერძენთაგან—ღრმა მოცისკროვნე ფილოსოფია.

საყურადღებოა, რომ ეროვნებათა ცხოვრებაში რელიგიურ ჩვეულებათ ძეტი მნიშვნელობა ჰქონდათ, ვინემ სხვა მოქალაქობრივ ჩვეულებათ, რომლებიც თითქმის პირველისაგან მომდინარეობდნენ, მისგან იღებდნენ შინაარსს; მაგალითად, ცოლ-ქმრული კავშირი, ურთიერთობა, ოჯახის წევრთა უფლება, სავსებით ემყარებოდა რელიგიურ წარმოდგენაზედ, და ბევრი სხვა ასეთი ჩვეულება სიძლიერით მაშინ მტკიცდებოდნენ, როდესაც სარწმუნოების ბურუსში გაეხვეოდნენ. კერძოდ ჩვენი ერის ცხოვრება ამ მხრით, მდიდარ მასალას იძლევა, მაგრამ ჩვენი ხალხის მთელი რიგი ზნე-ჩვეულების გადასინჯვა, მისი დაკავშირება მასის ფსიხოლოგიასთან, მათიინდივიდუალობის აღდგენა, გაზეთის თუ გინდ ძლიერ ვრცელ წერილშიაც შეუძლებელია, ამისათვის შევეხებით მხოლოდ იმ ზნე-ჩვეულებას, რო-

მელშიაც ქართველმა ერმა საერთოდ ჩამოაყალიბა თავისი ეთიკური სახე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მთელი თავის თვითარსებობის სიგრძეზედ შეზღუდული იყო სულ სხვა კულტურის მქონე ერებისაგან, რომელთა პოლიტიკური სიძლიერე ტლანქი სიმძიმით აწვებოდა მას, მიუხედავად ყოვლისა, ძირითადი გარდაქმნა, შედუღება ამ ორი კულტურისა მაინც არ მომხდარა და მეტი თავისებურობა ჩვენმა ერმა სახელდობრ იმ სფეროში შეინარჩუნა, რომელშიაც სინამდვილეში მეტი საფრთხე მოელოდა ეს, იყო ეთიკური თავისებურობის შენარჩუნება. მაგალითად: პოლიგამია, მრავალცოლიანობა, რომელიც თვალსაჩინო იურიდიული ინსტიტუტი იყო ჩვენ მეზობელთა უფლებრივ ცხოვრებაში, ქართველმა ერმა არამცთ თუ არ იკისრა და შეითვისა, პირიქით დაუპირდაპირა მის მიერ შექმნილი ცოლქმრული კავშირი, რომელსაც თავზედ მუდმივობის გვირგვინი დაადგა და საფუძვლად დაუდვა სულ სხვა გრძნობები, ვინემ ამ პრინციპს დაუდვეს სხვა ქრისტიანულმა ერებმა. გარდა ოჯახური კავშირის სიწმინდისა, ჩვენმა ერმა არა ნაკლები ყურადღება მიაქცია მეგობრობას, მის სიწმინდეს და ეს გრძნობა მან ჩვეულებად გაიხადა, ძეგლი აუგო; ავთანდილისა და ფრიდონის უანგარო მეგობრობა ტარიელისადმი, რომელიც შოთამ შეუდარებელი სიმშვენიერით გამოხატა, პოეტური ფანტაზია კი არ არის,—მას ღრმა კავშირი აქვს თვით ჩვენი ერის ფსიხოლოგიასთან; „ნიავს წყნარად დაჰბერე, ფოთოლს ტაშ დააკვრევინე, სწორის არ გამტანს უფალო, ფეხისად წააკვრევინე“, ამბობს ხალხური ლექსი, და ამ სიტყვებში ხალხმა გამოსახა თავისი სულის სიღიადე, გვიჩვენა თუ რამდენად ზნეობის მაღალ საფეხურამდის ავიდა იგი, როდესაც განამტკიცა, გააჩვეულებრივა, დააკანონა თანაგრძნობა, გაზიარება სხვისი ჭირ-ვარამისა და მხიარულებისა. ბევრი სხვა ამგვარი ჩვეულება, რომელშიაც გამოსჭვივის ჩვენი ხალხის ზნეობრივობა, კერძო წოდების სახელმძღვანელო კოდექსი არ იყო, იგი ერის კუთვნილებას შეადგენდა. ამ მხრით დასასრულ ვიტყვით, რომ ზნე-ჩვეულება არ წარმოადგენს მუდმივობას, იგი სწრაფ ცვალებადობას განიცდის, მაგრამ მრავალ ჩვეულებათა შორის არიან ისეთები, რომელთაც ორგანიული მკვიდრი კავშირი აქვთ ერის ფსიხოლოგიასთან, ამიტომ მათი ცვალებადობაც ნელ-ნელა ხდება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ზნე-ჩვეულება ერის მორალური განვითარების სიმაღლის მაჩვენებელია და მისი ცვალებადობა საიმედო თავდებია ერის მუდმივი ზნეობრივი განახლებისა.

მორალური უმოძრაობა, კონსერვატიზმი, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ მეტის სიცხადით ჩინელთა და სპარსელთა ცხოვრებაში, შემოქმედებითი სიკვდილის მომასწავებელია, ისე როგორც რომაელთაგან მოქალაქობრივ ტრადიციების უარისყოფა, დავიწყება, აბუჩად აგდება, გახდა მთავარ მიზეზად მათი დაძაბუნებისა, გახრწნისა და ბოლოს სიკვდილისაც.

შალვა ჯ—ძე.

ფრანც-ფერდინანდის მკვლელობა

მკითხველს უკვე ეცოდინება გაზეთებიდან დაწვრილებითი ცნობები ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის, ერც-ჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მოკვლის და ჩვენ არ შევჩერდებით იმის აღნუსხვაზედ, თუ რომელი ქუჩის მოსახვევში მოხდა ეს ამბავი, ან რა უთხრა ფერდინანდმა სარაევოს მოურავს პირველი გადარჩენის შემდეგ; ყველა ამას შემთხვევითი ხასიათი აქვს. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია გათვალისწინება იმ მიზეზების, რომელთაც დაატრიალეს ასეთი უბედურება ავსტრიის სამეფო გვარეულობაში. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ავსტრია მრავალ ერისაგან შეკოწიწებული სახელმწიფოა, რომელთა შორის გაუთავებელი ეროვნული შუღლი და დავიდარაბაა. ეს ეროვნული შუღლი აქამდის პოულობდა გამოსახულებას სტუდენტების დემონსტრაცია-შეტაკებში და საპარლამენტო აყალ-მაყალში. ყველამ იცის, რომ ავსტრო-უნგრეთის რეიხსრატი, ეროვნულ უთანხმოებათა წყალობით, ბოიკოტების, ობსტრუქციების და მუტი-კრივის კლასიკურ პარლამენტად გადაიქცა. სახელმწიფოს მოსახლე ერთა შუღლი ასეთ მცირე შეტაკებათა გარეშე თითქმის არ გამოდიოდა, სანამ გარეშე პირობანი ერთგვარ status quo-ს ემორჩილებოდნენ და ფრანც-იოსების საიმპერატორო მთავრობის გამოცდილება დიპლომატიურად ჭბორკავდა მას. სანამ გარეშე პირობათა შეცვლაზედ გადავიდოდეთ, უნდა გაითვალისწინოს მკითხველმა, თუ რა როლს თამაშობდა ამ ეროვნულ გაწა-მაწიაში მოკლული ფრანც ფერდინანდი. როგორც ტახტის მემკვიდრეს მას დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფოს უმაღლეს და ნამეტნავად სამხედრო წრეებში. და ეს გავლენა გამოიხატებოდა ნამეტნავად იმაში, რომ არამცთუ დროით მოტანილ რეფორმებს აფერხებდა, იგი, როგორც უკიდურესი რეაქციონერი და იმპერიალისტი, ყოველ გზით სცდილობდა ისტორიის ჩარხის ბრუნვა შეეჩერებინა. იგი უსასტიკესი მტერი იყო ყველა „წვრილ ერთა“ თავისუფლების და ნამეტნავად სლავიანების, რომელთაც მისი აზრით უნდა დაეკარგნათ მთლად თავისი ფიზიონომია, რომ სახელმწიფო ერში ათქვეფილიყვნენ. ის აქამდის იყო გატაცე-

ბული სლავიანთა შემუსვრის იდეით, რომ არამცთუ ავსტრო-უნგრეთში მოსახლე სლავიანები განიცდიდნენ ამ მკაცრ ზეგავლენას, არამედ სერბიელებს, ჩერნოგორელებს და ბულგარელთაც უხდებოდათ ანგარიშის გაწევა. ფრანც-ფერდინანდის ფანატიკოსობამ ამ იდეაში, რამდენჯერმე რუსეთთან შეტაკების საკითხიც კი წამოაყენა ავსტრიაში; ნამეტნავად უკანასკნელ „მახლობელ აღმოსავლეთის“ ომის დროსა.

მაგრამ უველა ეს ავანტურისტური გრძნობა, რომლითაც იგი ფიქრობდა სლავიანთა განადგურებას და ავსტრო-უნგრეთის ქვეშევრდომთა პატრიოტიზმით გამსჭვალვას, იმ გარდუვალ დაბრკოლებას ეხეთქებოდა, რომელსაც უუენებდა წინ აღდოსანი დიპლომატია და ფრანციოსების „მშვიდობიანობის მოუვარულობა“. ავსტრო-უნგრეთის ბედის გამგენი ვერ ჰბედავდნენ იმ სახელმწიფოს საომარ ავანტურებში ჩათრევას, რომლის შემაერთებელი კავშირი ბოლოს და ბოლოს—უხეში ძალაა.

ახლა დაუბრუნდეთ იმ ხანას, როცა დაიწყო სლავიანთა და ბერძენთა ბრძოლა ოსმალეთის წინაღმდეგ. ავსტრიის გარეშე გამეფებული status quo დაირღვა და ამით თვით ავსტრიის ფარგლებში მყოფ ერთა ძალებიც სხვა და სხვა გვარად ნაწილდებოდნენ. სულ რამდენიმე წლის წინად ძალად შემოერთებული ბოსნია-გერცეგოვინა, სერბიელებით და სხვა სლავიანებით დასახლებული სამხრეთი ქვეუნები მეტად აღელვა და დაიმედიანა „სლავიანთა ბრწყინვალე გამარჯვებამ“ ოსმალეთის ოდესღაც უდრეკ ძალაზედ. ზოგან ბუნდოვანი და ზოგანაც გარკვეული სურვილები გამოაღვიძა და ავსტრიისათვის საჭირო გახდა მთელ დიპლომატიურ და სამხედრო ძალთა შეჯგუფება, რომ „ჭრელი“ სახელმწიფო დარღვევისაგან დაეხსნათ. აი სწორედ აქ იჩინა თავი ნამეტნავად ფრანც-ფერდინანდმა და სლავიანთა მებრძოლი ერები მუდამ საფრთხეში ჰყავდა ომის მუქარით. მკითხველს ეხსომება, რომ ხან ჩერნოგორიის აკლებას აპირებდა ავსტრია, ხან რამდენჯერმე სერბია გააპეზრა ომის ქადილით; ჯერ ჰგლეჯდა ხელიდან „ბაზარის სანჯაყს“, ხან ზღვის სანაპიროს დაჭერის უფლებას უსპობდა და ბოლოს ხომ ალბანიის სახელმწიფოც შესთხზეს. ბულგარელთა და სერბიელთა შეტაკებაც ავსტრიის დაუხმარებლად არ მოხდა. მკითხველს ეხსომება ის გარემოებაც, რომ ერთიხნობით, ავსტრიამ მობილიზაციაც კი გამოაცხადა თავის ინტერესების დასაცავად—რუსეთისაგან. უველა ამ საომარ სადღერდელის ამშლელი და სამხედრო პარტიის მეთაური—იგივე ფერდინანდი იყო, დაუცხრომელი მტერი რუსეთისა და მთელის სლავიანობისა. საომარმა ობჯართა-ჟღერამა ამ ჟამადაც გასჭრა და ავსტრია არამცთუ უვნებელი. დიპლომატიურად გამარჯვებულიც გამოვიდა. მართალია, იარაღის ჩხარა-ჩხური ძვირად დაუჯდა ავსტრიას, მობილიზაციამ რამდენიმე მილიონი ფული შეიწირა, იმდენი რომ სამხედრო წრეები ამასაც კი საბუთად იუენებდნენ: ამდენი ხარჯი ტუუილად მოგვივიდა და ომი კი არ დავიწყეთო,—მაგრამ ეკონომიური მსხვერპლით, ავსტრიამ პოლიტიკური პრესტიჟი სრულად დაიცვა.

ამის შემდეგ, როცა ავსტრიის ზედა პირისა და ნამეტნავად სამხედრო პარტიის ჟინი ჩაიხრჩო დიპლომატიურ და შინაურ პოლიტიკის ქსელებში, ფრანც-ფერდინანდს აღარა დარჩენოდა რა უბრალო უოუოჩობის მეტი.

ერთის მხრით სლავიანთა გამარჯვება ოსმალეთზედ და მეორეს მხრით უდიერი ქცევა ავსტრიისა ამავე სლავიანთა მიმართ ომის დროს და ომის შემდეგაც, რასაკვირველია ლახავდა აწეულს თავმოუვარეობას პატარა სლავიანთა ერებისას. მათი ეროვნული შეგნებისათვის აუტანელი ხდებოდა ისეთივე დამცირება გაბსბურგთა იმპერიისაგან, როგორც გამარჯვებულ „ჯვაროსანთა ომის“ წინად. მაგრამ სლავიანებმა კარგად უნდა იცოდნენ, და მეტადრე მათი პოლიტიკის ხელმძღვანელთ, რომ ჯერ არ მომწიფებულა არც ავსტრიის დაცემა და არც მისი დაცემა სლავიანთა პატარა ერებისაგან ნამეტნავად; ამიტომ უკმაუოფილება მათი და ეროვნული თავმოუვარეობა ვერ იპოვის კარგა დიდხანს გასავალს რომელიმე მძაფრ შეტაკებაში ან ახდილ დემონსტრაციაში მაინც, როგორც ერისა და სახელმწიფოსი—ავსტრიის წინააღმდეგ. აი რისთვის იყო შესაძლებელი უკანასკნელი პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც მოამზადა კერძო ჯგუფმა, როგორც გამომხატველმა საერთო ეროვნულ უკმაუოფილებისამ. სლავიანურ ერთა უკმაუოფილება, ასე ვსთქვათ, ოფიციალურ გასავალს ვერ იპოვიდა და მცირე ჯგუფებმა და კერძო პირებმა ითავეს მეხის დატეხა იმ ადგილას, რომელიც უფრო მკაფიოდ და წინ მოსჩანდა გერმანია-ავსტრიის პოლიტიკურ ხაზზედ—ეს ადგილი იყო ფრანც-ფერდინანდი. რასაკვირველია, ასეთი კერძო მკვლელობა ვერ შეშლის გერმანია-ავსტრიის პოლიტიკას სლავიანთა მიმართ, თუ უფროც არ გაამწვავებს, მაგრამ იგი უოველ შემთხვევაში გამომმჟღავნებელი მოვლენაა სლავიანთა და გერმანელთა ურთიერთ განწყობილებისა. ძნელია, წარმოვიდგინოთ, რომ დღევანდელ საერთაშორისო პირობებში და ბალკანეთზე ძალთა თანამედროვე განაწილების დროს—ეს მკვლელობა გადაიქცეს საბაბად ომისა: როგორც ერთის, ისე მეორე მხარის მთავრობანი ეცდებიან ამ მოვლენას კერძო ხასიათის იერი მისცენ და ერთ-ურთის ჯავრის ამოურა უფრო ხელსაყრელ დროისათვის გადასდონ, მაგრამ გარეშე მდგომთათვის კი ცხადი უნდა იყვეს, რომ ასე მომზადებული შეთქმულობა ნაციონალურ უკმაუოფილებაზედაა აღმოცენებული და ცაბრინოვიჩი და გაბრიელ პრინციპი ამ უკმაუოფილების გამომხატველი იარაღია.

მეომარი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით—7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით—80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

ადრესი: Кутаисъ, редакція газ. „Имерети“.

ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილნი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი, და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ოთხ შაური. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპნის“ სტამბაში).

1894 წლიდან **1914** წლამდის

საუკეთესო ღვინო იყიდება ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა

ტელეფონი: № 73 და 3—51.

თბილისი: გოლოვინის ქუჩა 63 და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, როსტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.